ისტორია

# ოლღა გურამიშვილის უცნობი წერილები მარჯორი უორდროპს

ია აგულაშვილი

***მსოფლიოს დიდ ბიბლიოთეკებს შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია ბოდლის, ევროპის ერთ-ერთ უძველეს ეროვნულ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, რომელიც მისი დამაარსებლის თომას ბოდლის სახელობისაა. იგი დაარსდა 1598–1602 წლებში ინგლისში და დღემდე მასში დაცულია მსოფლიოს უნიკალური ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები, მათ შორის ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების მდიდარი კოლექცია; „ვეფხისტყაოსნის“ ორი საუკეთესო ხელნაწერი, ასევე მრავალი ძველი ქართული ხელნაწერი; გამოჩენილ ქართველ მწერლებთან, მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან მიმოწერით დაგროვილი ძვირფასი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, უნიკალური წიგნები, ფოტოდოკუმენტები და პრესის მასალები.***

ქართული კულტურისათვის რაოდენ ფასდაუდებელი საუნჯეა ამ ფონდში დაცული, ამაზე დეტალური საუბარი შორს წაგვიყვანს. დღევანდელ სტატიაში მკითხველს გვინდა გავაცნოთ უორდროპთა კოლექციიდან ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი უნიკალური მასალა, ასევე ილიასა და მისი მეუღლის ოლღა ჭავჭავაძის რამდენიმე წერილი, რომელიც ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება.

ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება „თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა“ გამოცემული მწერლის სიცოცხლეში, ალექსანდრე ჯაბადარის „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობის“ მიერ 1892 წელს. პირველი და მეორე ტომი ცალკეა შინდისფერ მუყაოს ყუთში ჩადებული, რომელზეც ოქროს ასოებით ამოტვიფრულია „ილია ჭავჭავაძე“, ხოლო შიგ დევს მუქი წითელი ხავერდის ყრდიანი ტომები, რომლებიც მოჩარჩოებულია მოოქროვილი ორნამენტებით. საცავ ფურცელზე ილიას ხელით წარწერილია: „ნიშნად უღრმესი პატივისცემისა, ავტორი 1894 წ. 13 დეკემბერი“.

ეს ეგზემპლიარები საქართველოში არ მოიპოვება, ეტყობა, ავტორმა საგანგებოდ შეუკვეთა ჯაბადარის გამომცემლობას უორდროპთა სასაჩუქროდ. ასევეა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის მიხეილ გედევანიშვილისეული მდიდრული გამოცემაც. აქვე ინახება ილია ჭავჭავაძის მიერ 1894-1904 წლებში უორდროპებისადმი გაგზავნილი 4 წერილი. ასევე ილია ჭავჭავაძის მეუღლის ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძის 50-მდე წერილი; პირველი დათარიღებული 1894 წლის 26 ნოემბრით, ხოლო უკანასკნელი - 1911 წლის 9 ოქტომბრით. ამათგან ორი წერილი რუსულად, სამი ფრანგულად, დანარჩენი კი ყველა ქართულად არის დაწერილი.

ოლღა ჭავჭავაძის წერილებში გაცოცხლებულია ილიას ცხოვრების ბოლო პერიოდი - 1894-1907 წლები, მისი ბიოგრაფიის ბევრი უცნობი ფაქტი, პოეტის მუხანათური მკვლელობის შემზარავი დღეები და წიწამურთან დატრიალებული ტრაგედიით გამოწვეული უმძიმესი სულიერი განცდები. როგორც მეცნიერები ამბობენ, ეს წერილები ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო წლების ყველაზე სანდო ქრონიკებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

### ამონარიდი წერილებიდან

„მოწყალეო ბატონო!

„თქვენი თარგმანი ჩემის „განდეგილის“ თქვენ მიერ ბოძებული, მივიღე, დიდად გმადლობთ ამ ჩემთვის ძვირფასი საჩუქრისთვის. თუ როდესმე მინანია, რომ ინგლისური არ ვიცი, ეხლა უფრო მეტად ვნანობ, ხოლო ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ვისაც ინგლისურის მცოდნეს წავაკითხე, ყველამ ძალიან მოიწონა თქვენი თარგმანი; თქვენ ქართულიდან გითარგმნიათ საბა ორბელიანის ნაწერიცა. იმედი გვაქვს, რომ მარტო ამაებს არ იკმარებთ და ბევრს სხვას კიდევ გადათარგმნით და მით დიდს ღვაწლს დაგვდებთ ქართველებს.

„ეს თქვენი ღვაწლი იმით კი არ მიხარიან, რომ სხვათა შორის ჩემი „განდეგილიც“ ღირს იქნა ინგლისთათვის წასაკითხად; თუმცა თავმოწონებისათვის ესეც საკმაოა ჩემთვის საკუთრად. მე მიხარიან, რომ თქვენის განათლებულის შემწეობით დიდი ერი ინგლისისა, ცოტა თუ ბევრად, შეიტყობს რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებული პატარა ქართველი ერი და აქვს თავის ლიტერატურა, რომელშიაც ინახავს თავის სულის და გულის საუნჯეს.

„რა თქმა უნდა, ჩვენი ნაწარმოები ლიტერატურისა ინგლისის დიდებულ ლიტერატურისთვის ვერაფერს განძს ვერ შეადგენს, მისს სამსოფლიო სიდიდეს ვერა ფერს ვერ შემატებს, მაგრამ დიდი იმისთვის არის დიდი, რომ პატარაც სწამს, ვითარცა არსება, რომელსაც ვერავინ წაართმევს ღვთიურს უფლებას ქვეყანაზე ცხოვრებისას თავისებურად, თავისის საკუთარის სურვილისა და წყურვილისამებრ.

„ამ მხრით თქვენი კეთილშობილური ღვაწლი ჩვენის ლიტერატურის ნაწარმოების თარგმანებისა დიდი სამსახურია ჩვენის პატარა და მივიწყებული ერის წინაშე და მე, ვითარცა შვილი ჩემის ქვეყნისა, ამასა ვგრძნობ და ამას შევხარი უღრმესის მადლობითა. თქვენი მარად პატივისმცემელი და ყოვლის კეთილის თქვენთვის მსურველი

„ილია ჭავჭავაძე

„26 თებერვალი, 1896, (ტფილისი)“

„დიდით პატივცემულო და უძვირფასესო დაო მისს მარჯორი!

„თქვენმა წერილმა თქვენ ნახვასავით გვასიამოვნა. ილიას ამბავს კითხულობთ. ეხლა უკეთ არის. ძალიან დაიღალა ბევრი მუშაობით და ასე არის, რომ გული დაუსუსტდა. ეხლა უკეთობა ეტყობოდა, საზღვარგარეთ გეახლებით. ილია და მე ნონსაუში ვიქნებით, ელიზავეტ გრიგოლის ასული საგინოვისა-კარლსბადში. მე მომიხდება ბერლინში ყოფნა, ესე ერთი თვე დავრჩებით და იმედია, რომ სრულებით განიკურნოს ილია.

„ჩვენ ზედად ქალაქს თბილისს გამოიარა პროფესორმა ვიგნერმა, რომელმაც გაშინჯა ილია და დარიგება მისცა ზედ, როგორ იწამლოს. ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ და აგრეთვე ლიზა საგინოვისამ. იყავით კარგად და არ დაგვივიწყოთ.

„თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

„ოლღა ჭავჭავაძისა

„1900 წლის 3 მაისი, ტფილისი.“

„დიდათ გმადლობთ. მე და ილია, ყოველთვის თანაგრძნობით ვეგებებით ჩვენ ავკარგიანობას. ეხლა ილია სულ სამძღვარგარეთ იყო და იწამლა სრულებით. კარგი და თავისზე დამოკიდებული თუ ზომიერით იმუშავა და არ დაიღლება, სრულიად კარგა იქნება.

„ჩვენ სამნივე ბერლინში ლეიდენის სანატორიუმში ვიყავით, ვწუხართ, რომ თქვენ იქ ბრძანდებოდით და ჩვენ ვერ შევხვდით ერთმანეთს. ბერლინი თავისი აგარაკებით და შესანიშნავი ადგილებით და ნიშებით ყველა ვნახეთ და დავათვალიერეთ. ძალიან მოგვეწონა; მრეწველობა უმაღლეს წერტილამდინ არის აყვანილი.

„დრეზდენშიც გახლდით და ვნახეთ იქაც შესანიშნავი სურათების გალერეია და ქანდაკებანი. უმშვენიერესი იმაზედ, მგონი არ არის რა. სამი თვე გახლდით და შინ რომ დავბრუნდით, ჩვენი საქართველო ერთ-ერთი მშვენიერი გვეჩვენა. ილიამ და ლიზამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ თქვენ და თქვენ ძმას ოლივერს.

„დავრჩები მარად თქვენი პატივისმცემელი

„ოლღა ჭავჭავაძისა

„1901 წლის იანვარი, ტფილისი.“

1906 წლის 1 ნოემბერი, გიორგობისთვე, (ტფილისი)

„უღრმესით პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო ბატონო მარჯორი!

„თქვენმა ნაცნობმა ბატონმა ნევინსონმა მომიტანა თქვენი წიგნი და დედისაგან გამოგზავნილი ჩემთვის ძვირფასათ სახსოვარი ნივთი. თქვენ ხომ თქვენ სამშობლოში წაბრძანდით, ჩვენ დიდხან აღარ მოგვიხდა ყოფნა (ს.პეტერბურგში). დუმამ ვერ იჩინა დარბაისლობა, ბავშურით ყველაფერს ეტანებოდა და თხოულობდა და ძალაუფლებისთვის კი მომზადებული არ იყო.

„მე და ილია, გახარებული, რომ მალე გვეღირსა შინ დაბრუნება, რა დღესაც შეატყობინეს - დუმა დაიშალაო, მეორე დღესვე წამოვედით. მარტო ეს მაღონებს - ძალიან შევიწროვებული ცხოვრებაა, ხალხი ჯერ არ დაწყნარებულა, ღელავს და ბობოქრობს. მგონი ჩვენ კიდენ თებერვალში ან უფრო მალე მოგვიხდება პატერბურგს წასვლა, როგორც დუმა იქნება ამორჩეული, მაშინვე ილიას დაიბარებენ;

„რუსეთის ჰავა ძალიან მავნებელია, გარდა ამისა ეხლა განათლებული ადამიანისათვის იქ ყოფნა აუტანელია. ჯერ ვერ დაწყნარდა ხალხი და ღმერთმა უწყის, როდის მოეღება ბოლო ჟლეტას და სიკვდილით სიცოცხლის მოსპობას.

„ჩვენ ქალაქ თბილისში დღე არ გავა, რომ სადმე იქვე ქუჩაში ბომბი არ გაისროლონ და უდანაშაულო ხალხი საპყრობილეში არ მოათავსონ. ძალიან აუტანელი დროა!

„ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ, კარგად გახლავსთ და ბევრს კითხულობს. იყავით კარგათ, ნუ დამივიწყებთ. დავრჩები თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

„ოლღა ჭავჭავაძისა

„1906 წლის 1 ნოემბერი, გიორგობისთვე, (ტფილისი).“

„დიდით პატივცემულო და ჩემთვის დაუვიწყარო და სანახავით სანატრელო მარჯორი!

„თქვენმა წერილმა ნუგეში მცა და გულს ესალბუნა, ვიცი, ჩემო კარგო და გულით საყვარელო დაო, ყოველთვის მომიგონებთ და შემიბრალებთ.

„მე ისეთი უბედურება დამატყდა უეცრათ, სიტყვას ვერ ვპოვებ, რომ გამოვთქვა. იმ ურჯულოებმა ჩემი ნუგეში და თვალის სინათლე მომიკლეს, მე დამასახიჩრეს. მარცხენა თვალით თითქმის არ ვხედამ. თავზე დიდი ჭრილობა მაქვს. ჯანი გავარდეს, ამას არ ჯობდა, მეც მოვეკალი და მღირსებოდა ილიასთან დასაფლავება.

„ეხლა დავრჩი მარტო, ყრუ და უძლური. რაც დრო გადის, უფრო და უფრო გულსაკლავათ ვერ ვინელებ ესეთ უბედურ მდგომარეობას. ფიქრში რომ წავალ, სულ იმედით ვცხოვრობ და მგონია შორს იმყოფება და რომ წარმოვიდგენ სინამდვილეს, აუტანელი მწუხარებაა და გული ვერ მომიბრუნებია. ნუ დამივიწყებთ, თქვენი ანბით მასულდგმულეთ. იყავით კარგათ. დავრჩები თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

„უბედური ოლღა ჭავჭავაძისა

„1908 წლის 16 მარტს, (ტფილისი).“

პრობლემა

# რა შემთხვევაში დაგიბრუნებენ დაწუნებულ პროდუქციას

## მომხმარებელთა უფლებების დასაცავად ახალი კანონი მზადდება

თიკო ოსმანოვა
გვანცა ღვედაშვილი

***საქართველო მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით კვლავ სავალალო მდგომარეობაშია. სპეციალისტების განცხადებით, არსებული კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი არ არის. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის დასკვნის მიხედვით, ქვეყანაში იმპორტირებული საკვები პრუდუქციის სრულყოფილი გამოკვლევა არ ხორციელდება. ეს კი ფალსიფიცირებული საკვები პროდუქტების შემოტანის რისკებს ზრდის, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია.***

აღსანიშნავია, რომ საკვები პროდუქტებითსა და სასმელი წყლით გადამდები დაავადებებით მსოფლიოში ყოველწლიურად 2,2 მილიონი ადამიანი იღუპება.

საქართველოში მომხმარებელი თითქმის ყველა სფეროში ტყუვდება, იქნება ეს სურსათი, საყოფაცხოვრებო და ელექტრო ტექნიკა, ტანსაცმლი, კოსმეტიკური საშუალებები თუ სხვა, ამაზე „მთელი კვირის“ მიერ მოპოვებული ფაქტებიც მეტყველებს.

თეონა ჩიტიშვილმა რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ სუპერმარკეტში ფენოვანი ცომი შეიძინა, სადაც დიდი ოდენობით პოლიეთილენის ცელოფანი აღმოჩნდა.

„მას შემდეგ, რაც, ცომში ცელოფნის ნაჭრები აღმოვაჩინე, უკან მაღაზიაში ჩავიტანე. მაღაზია პასუხისმგებლობას კომპანიას აკისრებდა და ამის გამო პროდუქტის დაბრუნებაზე უარს ამბობდა. თუმცა, სიტყვიერი დაპირისპირების შემდეგ პროდუქტი გამომიცვალეს“, - ამბობს „მთელ კვირასთან“ საუბრისას ჩიტიშვილი.

მისივე თქმით, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსგავსი რამ შეემთხვა. ამბობს, რომ მომხმარებელთა უფლებებს საქართველოში არავინ იცავს.

„ძალიან კარგი იქნება, თუ მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით კანონი გამკაცრდება და საკვები პროდუქტების კონტროლი გაორმაგდება. ფალსიფიცირებული პროდუქტი ჩვენს ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. ყველაფერი კარგად უნდა შემოწმდეს, თორემ პურშიც კი შემხვედრია ქვები, მაგრამ დაჭრილი პური უკან ვეღარ ჩამიტანია“, - გვითხრა ჩიტიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ პროდუქტებზე კონტროლს სურსათის ეროვნული სააგენტო და „მომხმარებელი.ჯი“ ახორციელებენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სუპერმარკეტებსა თუ ბაზრობის დახლებზე ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტი მაინც ხვდება.

„იმპორტირებულ პროდუქციაზე სასაზღვრო კონტროლი მხოლოდ განსაზღვრული სახის ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე ვრცელდება და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებს არ მოიცავს. თუმცა, აღნიშნული კონტროლი შესაბამისი ნორმების დაცვით არ მიმდინარეობს.

„მაგალითად, პრდუქციაზე ნიმუშების აღება მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით არ ხდება. გარდა ამისა, ნიმუშები არ მოწმდება ყველა იმ პარამეტრზე, რომელიც მონიტორინგის გეგმითაა განსაზღვრული, ასევე დარღვევები დაფიქსირდა ნიმუშების გეგმით განსაზღვრულ პარამეტრებზე შემოწმებისასაც.

„საზღვარზე შემოსული საქონლის განთავსება ქვეყნის შიგნით არსებულ ბაზარზე ხდება, სადაც კონტროლი ინსპექტირებისა და მონიტორინგის საშუალებით ხორციელდება.

„ინსპექტირების პროცესის შესწავლისას გამოვლინდა, რომ აუდიტის პერიოდში სააგენტოს არ გააჩნდა სრული, ზუსტი და დროული ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედ ბიზნესოპერატორებთან დაკავშირებით. აუდიტის პერიოდში სააგენტოს არ განუსაზღვრავს ბაზარზე მოქმედი ყველა ბიზნესოპერატორის რისკის დონე და შესაბამისად, არ ფლობდა სრულ სურათს შექმნილი რისკების შესახებ“, - აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში.

მათივე განცხადებით, მაღაზიები გარკვეულწილად მოწმდება, თუმცა, სრულიად უკონტროლოა ქუჩაში გაყიდული საქონელი. კანონით გარევაჭრობა აკრძალულია, თუმცა დედაქალაქში არაერთ ადგილას აღმოაჩენთ ხორცს, თევზს და სხვა მალფუჭებად პროდუქტს. სურსათის ეროვნულ სააგენტოს კი მათი შემოწმება არ ეხება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია.

სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ექსპერტი ეთერ სარჯველაძე ამ პრობლემის გადაჭრას სკეპტიკურად უყურებს. ამბობს, რომ გარეთ არაჰიგიენურ პირობებში პროდუქტების ყიდვაზე უარი თავად მოსახლეობამ უნდა თქვას.

ზოგადად კი მომხარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით ბოლო რამდენიმე წელში პროგრესს ხედავს. მისი თქმით, სუპერმარკეტებში სურსათის უვნებლობის სამსახური მოულოდნელ კონტროლს ახორციელებს. თავის მხრივ სურსათს „მომხმარებელი.ჯი“-ც აკონტროლებს, თუ მომხმარებელმა პროდუქტის ხარისხსში შეიტანა ეჭვი და ამის შესახებ ორგანიზაციას აცნობა.

„მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქცია გვხვდება, საერთო ჯამში მომხმარებელთა უფლებები მეტნაკლებად მაინც დაცულია. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, სურსათის მწარმოებელს აღარ აქვს უფლება პროდუქციაზე არაზუსტი შემადგენლობა მიუთითოს. მაგალითად, არ აქვს უფლება „არაჟანი“ დააწეროს პროდუქტს და იყოს „არაჟინისმაგვარი“, მსგავსი შემთხვევები დასჯადია.

„დაუშვებელია პროდუქციის არაჰიგიენურ პირობებში გაყიდვა. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ძალზედ ხშირია, თუმცა ეს სურსათის უვნებლობის კომპეტენციაში არ შედის. იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს პოლიციის ჩარევაა საჭირო. ამას კი დიდი აურზაური მოჰყვება. დღეს აუკრძალავ - ხვალ ისევ დაჯდება, მაგრამ თუ მომხარებელი არ ეყოლება, მერე ვერაფერს იტყვის და სხვა სამსახურს მონახავს“, - აღნიშნა სარჯველაძემ.

დასასრული მე-11 გვერდზე

მეზობელი

# ვინ აფეთქებს თურქეთს

ვახო შამუგია

***19 მარტს თურქეთში, სტამბულის ცენტრალურ უბანში განხორციელებულ ტერაქტს ხუთი ადამიანი შეეწირა, ოცი კი დაშავდა. საქართველოს საკონსულოს ცნობით, დაღუპულთა და დაშავებულთა შორის ჩვენი თანამოქალაქეები არ არიან.***

აფეთქება ისტიკლალის ქუჩაზე მოხდა, სადაც როგორც წესი, ძალიან ბევრი ტურისტია. დაღუპულთა შორის არიან ისრაელის სამი და ირანის ერთი მოქალაქე. წინასწარი ინფორმაცით, ტერორისტული აქტი „ქურთთა მუშათა პარტიის" მიერ არის ორგანიზებული. თურქი სამართალდამცავების ცნობით, ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა მოიყვანა.

ეს მარტის თვეში თურქეთში განხორციელებული უკვე მესამე ტერორისტული თავდასხმაა. წინა ორი თავდასხმა დედაქალაქ ანკარაში მოხდა. 8 მარტს ტერორისტების მიერ მოწყობილმა აფეთქებამ 22 მოქალაქის, მეტწილად, სამხედრო პირების სიცოცხლე შეიწირა. ხოლო 14 მარტს ავტობუსის გაჩერებასთან ბოროტმოქმედების მიერ აფეთქებულმა მანქანამ 37 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 125 კი დაშავდა.

ამავდროულად, ქურთებით კომპაქტურად დასახლებულ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში ვითარება ამ დრომდე უკიდურესად დაძაბულია. განსაკუთრებით რთულია ვითარება დიარბაქირის ოლქსა და სირია-ერაყის საზღვართან. სასაზღვრო ზოლის მახლობლად, სირიის სამთავრობო ჯარებისა და რუსული ავიაციის აქტიური მოქმედებების შედეგად, ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" ძალები ბრძოლებით უკან იხევენ.

„ქურთთა მუშათა პარტიის" ბრძოლა თუ რუსული შურისძიება გასულ წელს თურქების მიერ ჩამოგდებული ბომბდამშენის გამო – ამ კითხვას სულ უფრო ხშირად სვამენ პოლიტოლოგები.



19 მარტის ტრაგედიის ადგილი სტამბულში

ფაქტია, რომ თურქეთის სამხრეთ რეგიონებში მეამბოხე ქურთები საგრძნობლად გააქტიურდნენ. შეტაკებები სამხედროებსა და პარტიზანებს შორის სულ უფრო ინტენსიურ და დრამატულ სახეს იღებს.

მიუხედავად ანკარის მიერ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისათვის დაწესებული შეზღუდვისა, ცნობები დიარბაქირსა და სხვა რეგიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ, მაინც ვრცელდება. ფოტო და ვიდეომასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ნგრევის მასშტაბები და მსხვერპლი ორივე მხრიდან დიდია. ანტიტერორისტულ სპეცოპერაციაში როგორც საარტილერიო, აგრეთვე საავიაციო ქვედანაყოფებია ჩართული.

თურქი და არა მხოლოდ თურქი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში მოქმედ ქურთ მეამბოხეებს მხარს რუსეთი უმაგრებს. ამაზე რუსული მედიის გაზრდილი ინტერესი და აშკარად პროქურთული პოზიცია მეტყველებს. მოსკოვი თავის მხრივ აქტიურად ცდილობს ანკარისა და ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" ურთიერთკავშირების გამოვლენას. თუმცა, ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თურქეთისა და ისლამისტების „კოაბიტაციის" ფაქტების ძიებაზე კრემლი დროს ამაოდ კარგავს.

„თურქეთი არის „ისის-"ის წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციის აქტიური წევრი. მეტიც ის წარმოადგენს მნიშვნელოვან პლაცდარმს საჰაერო თავდასხმების განხორციელებისთვის.

„არსებობს უამრავი მოსაზრება იმის შესახებ, რომ თურქეთსა და „ისლამურ სახელმწიფოს" შორის რაიმე სახის ეკონომიკური და მეტიც სამხედრო კავშირი არსებობს, განსაკუთრებით ეს ნარატივი რუსული მედია საშუალებების მთავარ გზავნილს წარმოადგენს. მაგრამ ლოგიკასა და ფაქტებს განსხვავებულ ვითარებამდე მივყავართ.

„თურქეთის სამხრეთი საზღვრის დესტაბილიზაცია, მიგრანტთა კრიზისი და გახშირებული ტერაქტები წარმოადგენს იმ მარტივ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც აბათილებს „ისის"-ისა და თურქეთის რაიმე სახის თანამშრომლობის არსებობას.

„ზოგადად „ისლამური სახელმწიფოს" ირგვლივ მრავალი კონსპირაციული თეორია და მოსაზრება არსებობს, თუმცა ყოველივე ეს ნაკლებად დამტკიცებადი და ხშირად რეალობას მოკლებულია", – მიიჩნევს „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" მკვლევარი, გიორგი გოგუაძე.

მისივე თქმით, ანკარის მიერ ქურთებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოგვარება მანამ, სანამ ახლო აღმოსავლეთი სამოქალაქო ომის ქარცეცხლშია გახვეული, პრაქტიკულად შეუძლებელია.

რუსეთი, თავის მხრივ, ინტენსიურად აიარაღებს სირიელ ქურთებს, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ წარმატებით იბრძვიან. თავის მხრივ, ისლამისტებთან მებრძოლი ერაყელი ქურთები შეიარაღებით, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებით, ამერიკული მხარის მიერ მარაგდებიან.

მიუხედავად თურქული მხარის მიერ სასაზღვრო ზოლის კონტროლისა, არ არის გამორიცხული, რომ ამ იარაღის ნაწილი თურქეთში მებრძოლი მეამბოხეების ხელშიც აღმოჩნდეს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ერაყსა და სირიაში, ქურთები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აკონტროლებენ, რომელზეც მათ უკვე ავტონომია აქვთ გამოცხადებული და რადიკალი ისლამისტების დამარცხების შემდეგ, ისინი თავიანთ მონაპოვარზე უარის თქმას არ აპირებენ. ეს კი ცალკე კონფლიქტის საბაბი შეიძლება გახდეს. თუმცა, რამდენად მოისურვებენ და რაც მთავარია, შეძლებენ ერაყელი, სირიელი და თურქი ქურთები ერთად, ერთ სახელმწიფოში ცხოვრებას, ეს უკვე სხვა საკთხია, რადგან მათ შორის ბევრი წინააღმდეგობაა, რასაც ამ ეტაპზე მათი საკუთარი სახელმწიფოებრიობის მოპოვებისკენ მიმართული საერთო მისწრაფება ფარავს.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ 19 მარტს ანკარაში ვიზიტით მყოფმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ჯავათ ზარიფმა მეზობელ თურქეთს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და თქვა, რომ ირან-თურქეთის ტანდემს რეგიონში არსებულ ნებისმიერ გამოწვევაზე გამკლავება ძალუძს. მისი თქმით, მიუხედავად რელიგიური განსხვავებისა, მათი ურთიერთთანამშრომლობა რეალურია.

„დასავლეთს სურს დასუსტებული ისლამის ხილვა, ამიტომ არსებულ პრობლემებზე გამკლავება მთლიანად ირანსა და თურქეთს აწევბა მხრებზე. „ისლამური სახელმწიფო" არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი რეგიონისათვის წარმოადგენს დიდ საფრთხეს", – განაცხადა თავის მხრივ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაეფ ერდოღანმა ირანელ მინისტრთან შეხვედრისას.

არ არის გამორიცხული, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებსა და ერაყის ტერიტორიაზე თურქული არმიის ქურთი მეამბოხეების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების ინტენსივობის ზრდა ტერაქტების სერიას უფრო ფართომასშტაბიანს გახდის.

პრობლემა

# რა შემთხვევაში დაგაბრუნებინებენ დაწუნებულ პროდუქციას

## მომხმარებელთა უფლებების დასაცავად ახალი კანონი მზადდება

დასასრული

„მომხმარებლის უფლება სამომხმარებლო ბაზარზე საერთოდ არ არის დაცული", – ამ განცხადებას კი საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მადონა კოიძე აკეთებს.

მისი თქმით, საქართველოში კონტროლირებადი მხოლოდ სურსათის უვნებლობაა სხვა დანარჩენ სფეროებში არანაირი რეგულაცია და კონტროლი არ ხდება.

„მომხმარებელთა უფლებები – ეს არ არის მხოლოდ სურსათის უვნებლობა. საქართველოში ერთადერთი, რაც სახელმწიფოს მიერ არის რეგულირებადი და კონტროლირებადი, მხოლოდ სურსათია. სხვა დანარჩენი სფეროები ყოველგვარი ყურადღების, ზედამხედველობისა და კონტროლის გარეშეა დარჩენილი.

„თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონი არ არსებობს, სამწუხაროდ, მომხმარებლის უფლება სამომხმარებლო ბაზარზე საერთოდ არ არის დაცული," – აცხადებს კოიძე.

ის, რომ კონტროლი არც ტექნიკაზე და არც სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებზე არ ხდება, „მთელ კვირას" ერთ-ერთმა დაზარალებულმაც დაუდასტურა.

როგორც თბილისში მცხოვრები ნინო ლობჟანიძე გვეუბნება, იგი ტექნიკის შეძენისას მოატყუეს, რაც საკმაოდ გვიან აღმოაჩინა და რეაგირებაც ვერ მოახდინა.

„ერთ-ერთ მაღაზიაში შევიძინე ლეპტოპი, რომელზედაც გადამესხა წყალი. ხელოსანთან მიტანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩემ მიერ შეძენილი ახალი კომპიუტერი სულაც არ იყო ახალი და სინამდვილეში, მთელი მისი შიდა ნაწილები უკვე გამოცვლილი იყო, რის გამოც მისი შეკეთება ვეღარ მოხერხდა და რამდენიმე თვის წინ ნაყიდი კომპიუტერის გადაგდება მომიწია.

„პასუხი ვერც იმ მაღაზიის პატრონს მოვთხოვე, სადაც აღნიშნული ლეპტოპი შევიძინე, რადგან ისიც არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა და საკუთარი უფლებები როგორ დამეცვა", – გვითხრა დაზარალებულმა.

საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე ამბობს, რომ დღეს თუ მომხმარებელი შეძენილ პროდუქციაზე პრეტენზიას გამოთქვამს, ან სურს მისი დაბრუნება, ხშირად, კონკრეტული პროდუქციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს თითქმის შეუძლებელია.

„დღესდღეობით ძალიან ცოტაა ისეთი მაღაზია, რომელიც იბრუნებს პროდუქციას, ისიც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ზრუნავს თავის იმიჯზე და არა იმიტომ, რომ ამას კანონი ავალდებულებს. ანუ, პროდუქციის დაბრუნება მაღაზიის ნებაზეა დამოკიდებული.

„მოსახლეობისთვის საკმაოდ დიდი პრობლემას წარმოადგენს ტექნიკაზე დატანებული ინსტრუქციაც, რადგან ხშირ შემთხვევაში იგი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი არ არის და გაუგებარია ზუსტი ინსტრუქციები. იმ შემთხვევაში კი, თუ პროდუქციას ახლავს ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ის საკმაოდ მწირია და არ შეიცავს ნივთის დეტალურ აღწერას.

„აღნიშნული პრობლემა კი სწორედ მომხმარებელთა უფლებების დარღვევაა, რადგან მომხმარებელს უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ნებისმიერ პროდუქციაზე, რომელიც გასაყიდად არის გამოტანილი, მიიღოს დეტალური ინფორმაცია.

„ხშირ შემთხვევაში ირღვევა საგარანტიო პირობებიც, ასევე ტექნიკასთან დაკავშირებით არ გვაქვს საშუალება კვლევა ჩავატაროთ და გამოვრიცხოთ ისეთი რისკები, რომელიც ფიზიკური ფაქტორებით არის განპირობებული – ხმაური, ვიბრაცია და ა.შ.", – აღნიშნავს კოიძე.

აღსანიშნავია, რომ მომხარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ორგანო უახლოეს პერიოდში იმსჯელებს. ამასთან დაკავშირებით პარლამენტში კანონი უკვე ინიცირებულია.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის მაისში გაუქმდა საქართველოს 1996 წლის კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", რის შედეგადაც მომხმარებლების უფლებები საქართველოში საგრძნობლად შეიზღუდა. ამავე დროს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.

მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ევროპული მიდგომა ითვალისწინებს არა მხოლოდ უფლებების სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებას, არამედ მათი დაცვის მექანიზმების შექმნას და ინსტიტუციურ უზრუნველყოფას.

„აღნიშნული კანონპროექტით მომხმარებელს საშუალება ექნება, გარდა პროდუქციაზე სრული ინფორმაციის მიღებისა, სურვილის შემთხვევაში ნაყიდი პროდუციის უკან დაბრუნებაც შეძლოს. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი ნაკლის მატარებელია, მომხმარებელს ცალსახად უბრუნდება თანხა, მაგრამ თუ მომხმარებელმა იყიდა გარკვეული ნივთი, წაიღო სახლში და შემდგომ გაიაზრა, რომ მან შეიძინა ისეთი პროდუქცია, რომელიც მის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, შეეძლება უბრალოდ მივიდეს მაღაზიაში და მარტივად დააბრუნოს ის. თუმცა, რასაკვირველია ნივთს არ უნდა ჰქონდეს დაკარგული სასაქონლე სახე და არ უნდა იყოს იმ გამონაკლისთა სიაში, რასაც სჭირდება შენახვის სპეციალური პირობები ან მოკლე შენახვის ვადით არის განსაზღვრული.

„კანონპროექტი ძირითადად ეხება ტანსაცმელსა და ტექნიკას. პროდუქციას, რომელსაც სჭირდება სპეციალური შენახვის პირობები, მათ შორის მედიკამენტებზეც, აღნიშნული კანონი არ გავრცელდება.

„აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულება, რომელიც ცალსახად ითვალისწინებს ბიზნესის ინტერესებს და სადაც უგულებელყოფილია მომხმარებლის ინტერესები აღნიშნული, კანონმდებლობის მიღების შემედეგ გაუქმდება.

„აგრეთვე ძალზედ მნიშვნელოვანია მომხმარებლის ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნა, ვინაიდან თუკი ქვეყანაში არსებობს ბიზნეს ომბუდსმენი, რატომ არ უნდა არსებობდეს მომხმარებელთა ომბუდსმენი, რომელიც დაიცავს მათ უფლებებს სამომხმარებლო ბაზარზე?" – განაცხადა მადონა კოიძემ.

ასევე შეგახსენებთ, რომ კანონი გენმოდიფიცირებული პროდუქტის სავალდებულო მარკირების შესახებ ძალაში 2015 წლის 1 ივლისიდან შევიდა, თუმცა სავაჭრო ქსელში პროდუქციის „გმო" ნიშნით ეტიკეტირება არ მომხდარა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს დეპარტამენტის უფროსი, კახა სოხაძე ამბობს, რომ სურსათის და ბოსტნეულის შემოწმება მათი სააგენტოს მიერ მესამე წელია ხორციელდება, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში გენმოდიფიცირებული პროდუქცია ქართულ ბაზარზე არ აღმოჩენილა.